ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის
2022 წლის 08 ივლისის №ბ12.122218918 ბრძანების საფუძველზე შექმნილი
„ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის“

სხდომის ოქმი №7

ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. №18 — 12 სექტემბერი, 2022 წელი

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ინგა დიაკონოვი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
თამილა ადვაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
ქეთევან ჯვარიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თამარი სამსონიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მაკა ზედგინიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გელა ლომიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ლევან მიქაბერიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
შიო ზედგინიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. მიმდინარე სხდომის მდივნის განსაზღვრის შესახებ.
2. სამუშაო ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის გაცნობის შესახებ.

მოისმინეს და დაადგინეს:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხია, მიმდინარე სხდომის მდივნის განსაზღვრა. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მიმდინარე სხდომას მდივნობას გაუწევს ამავე ჯგუფის წევრი - შიო ზედგინიძე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხია, სამუშაო ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის გაცნობა. ჯგუფის თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის №ბ12.122218918 ბრძანების საფუძველზე შექმნილია „ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი“. აღნიშნული ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:**
   - 1.1 შშმ სტატუსის მქონე;
   - 1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
   - 1.3 გავნითარების სირთულის მქონე ბავშვი;
2. **მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მ.შ.:**
   - 2.1 ობოლი ბავშვი;
   - 2.2 მარჩენალდაკარგული ბავშვი;
   - 2.3 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;

3. **სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი;**
4. **ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;**
5. **ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:**
   5.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;
   5.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;
   5.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

საჭიროებათა კვლევის ჩატარების მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის 47-ვე დასახლებაში მერის წარმომადგენლების მიერ დასრულდა ანკეტური გამოკითხვის ჩატარების პროცესი. მიზნობრივი ჯგუფების მოცვის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 16,30. ანკეტური გამოკითხვისას რესპონდენტების რაოდენობამ შეადგინა 126. ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია დამუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, ჩაუტარდა შესაბამისი ანალიზი და შედეგად გამოიკვეთა კვლევის ძირითადი მიგნებები.

საჭიროებათა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით გაიმართა შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საჯარო და კერძო სექტორის, ასევე სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებმა. საჯარო და კერძო სექტორიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ორგანიზაციების/უწყებების წარმომადგენლებმა: ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“-ს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრი, ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ სამცხე-ჯავახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი.

ფოკუს-ჯგუფის შეხვედრისას მონაწილეები გაეცნენ კვლევის მიგნებებს, იმსჯელეს თითოეული მათგანის ირგვლივ და გამოკვეთეს პრიორიტეტული მიმართულებები:

- კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
- შშმ ბავშვის სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;
- სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროცედურები;
- ტრანსპორტირების ხელშეწყობა;
- სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლის ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა;
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ფინანსური დახმარება;
- შშმ სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;

სამიზნე ჯგუფების მიხედვით, პრიორიტეტული მიმართულები გადანაწილდა შემდეგი სახით:

სამიზნე ჯგუფი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. შშმ ბავშვის სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;
3. სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროცედურები;
4. ტრანსპორტირების ხელშეწყობა;

სამიზნე ჯგუფი: მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლის ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა;
3. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. ფინანსური დახმარება;

სამიზნე ჯგუფი: ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. შშმ სტატუსის მინიჭებისათვის ხელშეწყობა;
3. სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროცედურები;
4. ფინანსური დახმარება;

სამიზნე ჯგუფი: ღარიბი ბავშვიანი ოჯახი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
2. სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლის ხელმისაწვდომობაში ხელშეწყობა;
3. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
4. ფინანსური დახმარება;

პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთის შემდგომ, სამუშაო ჯგუფის მიერ დაიგეგმა საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის მომზადება საჯარო განხილვისათვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: **ინგა დიაკონოვი**

სხდომის მდივანი: **შიო ზედგინიძე**